ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5079007

ნომერი: AR1769561

თარიღი : 24.08.2020

გაცემის თარიღი : 25.08.2020

გაცნობის თარიღი : 27.08.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კონსტანტინე ლესელიძე N11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კუკავა პ/ნ 01007002524
- თბილისი ვ.ბაგრატიონის ქ. ბლოკი I კორ. 5 ბ. 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
არსებული შენობა/ნაგებობა ოფისის ფუნქციითაა შეთანხმებული, ხოლო წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება შენობის ფუნქცია/დანიშნულების ცვლილება და ვინაიდან ფუნქციის ცვლილება საჭიროებს ნებართვის გაცემას, სამსახური ვერ განიხილავს აღნიშნულ განაცხადს პირველი კლასის კუთხით.
ამასთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით განსაზღვრულია მშენებლობის ის სახეები, რომლებიც საჭიროებენ მშენებლობის ნებართვის/წერილობითი დასტურის მიღებას. თქვენს მიერ მითითებული სამუშაოები არ წარმოადგენს იმ სახის მშენებლობას, რომელზეც კანონმდებლობის შესაბამისად გაიცემა მშენებლობის ნებართვა ან წერილობითი დასტური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.